

**შპს „ფერმო ფენსი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	31. 12. 2018	31. 12. 2017	შენიშვნა
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	1943412	1519836	
ფულადი სახსრები	47253	80892	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	351904	332372	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	95333	61052	3.3
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4568	8416	3.4
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1396085	1020141	3.5
წინასწარ გადახდილი გადასახადები	48269	16963	3.6
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	446991	442547	
ძირითადი საშუალებები	445556	440841	3.7
არამატერიალური აქტივები	1435	1706	3.7
სულ აქტივები:	2390403	1962383	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	562395	940866	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	388881	557671	3.8
მოკლევადიანი სესხები	34402	269213	3.9
საგადასახადო ვალდებულებები	45583	30229	3.10
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	93529	83753	3.11
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები			
<i>სულ კაპიტალი:</i>	1828008	1021517	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	50	50	
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი			
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	1827958	1021467	
რეზერვები და დაფინანსება			
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2390403	1962383	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიდინ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	2018	შენიშვნა
ამონაგები	8027614	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(6500886)	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	1526728	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	9871	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	1536599	
მიწოდების ხარჯები	(74944)	3. 12
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(609526)	3. 13
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	(51)	
სულ საოპერაციო ხარჯები:	(684521)	
დადებითი საკურსო სხვაობები	28254	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	28254	
ფინანსური დანახარჯები	(14531)	3. 14
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	(210)	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(21930)	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	(36671)	
მოგება დაბეგვრამდე:	843661	
მოგების გადასახადის ხარჯი	(327)	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	843334	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	843334	
<i>მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებელი:</i>		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	843334	
არამაკონტროლებელ წილზე		
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	843334	
<i>მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი:</i>		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	843334	
არამაკონტროლებელ წილებზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიდინ

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	კაპიტალი არამაკონტ. წილის გარეშე	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018-თვის	50	1021467	1021517	1021517
საადრევე პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		843334	843334	843334
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		843334	843334	843334
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან				
განაწილებული დივიდენდები		- 36843	- 36843	- 36843
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		- 36843	- 36843	- 36843
ნაშთი 01.01.2019-თვის	50	1827958	1828008	1828008

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიკ სელმან აპაიდინ

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფერმო ფენსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2010 წლის 05 მარტს საჯარო რეესტრში კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404856107, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დილომი ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის (პურის საცხობის) მიმდებარედ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2010 წლის 24 მარტს.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია სალიპ სელმან აპაიდინ, (პ.ნ.41260946608, U 01373806, 01495000263).

1.3. კომპანიის დირექტორია სალიპ სელმან აპაიდინ, (პ.ნ.41260946608, U 01373806, 01495000263)).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით, მზა ლით.ნაკ.წარ-ბა მანქანა და მოწყობილობების გარდა. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (თბილისი, ბათუმი).

1.6. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე საწარმო.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის „სარეკომენდაციო მითითება მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ - საფუძველზე, რომლის თანახმადაც: „იმ შემთხვევაში, თუ მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, ასეთი საწარმო შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ სამსახურში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.“

ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების

გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 6,67 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6,67 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	46977	56921
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	275	23972
ევროები საბანკო ანგარიშებზე	0	0
სულ:	47253	80892

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სს „ზირაათ ბანკში“.

3.2. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	320338	301814
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (არარეზიდენტი დებიტორები)	31566	30557
სულ:	351904	332372

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები არის გადაუხდელი მოთხოვნები საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 138 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.3. ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2214	2548
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	93119	58504
სულ:	95333	61052

3.4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	4568	8416
სულ:	4568	8416

3.5. სასაქონლო-მატერიალური მარაგი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1350448	985219
ნედლეული და მასალები	23003	16783
მზა პროდუქცია	20613	17026
საწვავ-საცხები მასალები	2023	1113
სულ:	1396085	1020141

მარაგები შედგება სარემონტო რკინა-კავეულის მასალებისა და სპორტულ გასართობი დანიშნულების საქონელისაგან, ასევე საწვავ-საცხები მასალებისაგან.

3.6. წინასწარ გადახდილი გადასახადები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წინასწარ გადახდილი ავანსის დღგ	11205	9309
წინასწარ გადახდილი მოგება	6195	20
ჩასათვლელი დღგ	30869	7634
სულ:	48269	16963

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინსწრებით გადახდილ გადასახადებს, მათ შორის მიღებული ავანსის დამატებითი ღირებულების გადასახადი.

3.7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხუ ლი ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეო ბით
მიწის ნაკვეთები	289019			289019	0	0	289019
ნაგებობები	6920	0	341	7261	0	341	7603
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	4119	2373	865	2611	1580	186	1217
ავტო	832	0	665	1497	0	665	2162
სარეკლამო საშუალებები	698	0	220	918	1102	184	0
მსუბუქი ავტომობილები	36147	34000	6608	8755		6592	15347
სხვა ავტოტრანსპორტი	14370		4563	18933	-14283	-8912	24305
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	74728	6010	21979	90698	10726	22104	102075
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	13632		4743	18376	708	4739	22407
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	5092	4668	2349	2774	2296	46102	46580
არამატერიალური აქტივები	1435	0	271	1706	0	271	1977
სულ:	446991	47051	42606	442546	2128	72274	512692

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 201068 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 158733 ლარი.

არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“-ს და საქპატენტიდან მიღებული მოწმობისაგან, არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1525 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1254 ლარი.

3.8. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	388881	557671
სულ:	388881	557671

3.9. მოკლევადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
საქართველოს ბანკი GCL000184968-3763521	0	269213
საქართველოს ბანკი GGLCA000267262-5368146-7385305	34403	0
სულ:	34403	269213

სს „საქართველოს ბანკიდან“ აღებული სესხი არის აშშ დოლარში. 2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხი აშშ დოლარში შეადგენს 12853.08USD-ს, რომელიც სრულად დაფარულია 2019 წლის მარტში.

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება (ერთიანი ბარათი)	45583	30229
სულ:	45583	30229

3.11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	87287	78892
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6242	4861
სულ:	93529	83753

3.12. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	(2526)
სხვა მიწოდების ხარჯები	(72419)
სულ:	(74944)

3.13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	(320192)
იჯარის ხარჯები	(164062)
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	(1937)
საწვავის ხარჯები	(11597)
ცვეთა და ამორტიზაცია	(42606)
საკომუნიკაციო ხარჯები	(6996)
კომუნალური ხარჯები	(10485)
საბანკო ხარჯები	(15989)
ავტომობილის ექსპლუატაციის და რემონტის ხარჯები	(6477)
საკონსულტაციო ხარჯები	(5085)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(24099)
სულ:	(609526)

3.14. ფინანსური დანახარჯები:

	2018 წელი
საპროცენტო დანახარჯები	(14531)
სულ:	(14531)

3.15. სასამართლო დავები

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მნიშვნელოვან მოვლენებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

3.17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 05 თებერვალს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	31.12.2018	31.12.2017	შენიშვნა
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>1943412</i>	<i>1519836</i>	
ფულადი სახსრები	47253	80892	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	351904	332372	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	95333	61052	3.3
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4568	8416	3.4
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1396085	1020141	3.5
წინასწარ გადახდილი გადასახადები	48269	16963	3.6
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>446991</i>	<i>442547</i>	
ძირითადი საშუალებები	445556	440841	3.7
არამატერიალური აქტივები	1435	1706	3.7
სულ აქტივები:	2390403	1962383	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>562395</i>	<i>940866</i>	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	388881	557671	3.8
მოკლევადიანი სესხები	34402	269213	3.9
საგადასახადო ვალდებულებები	45583	30229	3.10
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	93529	83753	3.11
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები			
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>1828008</i>	<i>1021517</i>	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	50	50	
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი			
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	1827958	1021467	
რეზერვები და დაფინანსება			
არამატერიალური წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2390403	1962383	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2020 წ.

დირექტორი:

სალიპ სელმან აბაიძინ



თანხები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	2018	
ამონაგები	8027614	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(6500886)	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	1526728	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	9871	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	1536599	
მიწოდების ხარჯები	(74944)	3.12
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(609526)	3.13
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	(51)	
სულ საოპერაციო ხარჯები:	(684521)	
დადებითი საკურსო სხვაობები	28254	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	28254	
ფინანსური დანახარჯები	(14531)	3.14
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	(210)	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(21930)	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	(36671)	
მოგება დაბეგვრამდე:	843661	
მოგების გადასახადის ხარჯი	(327)	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	843334	
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	843334	
<i>მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებელი:</i>		
სათავო საწარმოს მისაკუთრებზე	843334	
არამაკონტროლებელ წილზე		
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	843334	
<i>მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი:</i>		
სათავო საწარმოს მისაკუთრებზე	843334	
არამაკონტროლებელ წილებზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2020 წ.



დირექტორი: _____

სალიპ სელმან აბაიძინ

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	კაპიტალი არამაჟონტ . წილის გარეშე	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018-თვის	50	1021467	1021517	1021517
საადრინგო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		843334	843334	843334
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		843334	843334	843334
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან				
განაწილებული დივიდენდები		-36843	-36843	-36843
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-36843	-36843	-36843
ნაშთი 01.01.2019-თვის	50	1827958	1828008	1828008

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიძინ

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

